

განცხადება

ბლოგპოსტების კონკურსის შესახებ

კონკურსის მიზანი

მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის ამაღლება საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, ვინაიდან აღნიშნული მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინფორმირებული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებასა და ფინანსური კეთილდღეობის მიღწევაში. აღნიშნული მიზნით ფუნქციონირებს მის მიერ შექმნილი და ორგანიზებული პლატფორმა www.finedu.gov.ge – (შემდგომში - ფინედუ).

საქართველოს ეროვნული ბანკისა და შემნახველი ბანკების ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობისთვის (SBFIC) ორგანიზებით, მსოფლიო დაზოგვის დღეს საქართველო ყოველწლიურად 31 ოქტომბერს აღნიშნავს. დაზოგვის დღე 1925 წლიდან ბევრ ქვეყანაში სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნება და მოსახლეობაში დაზოგვის წახალისებას ემსახურება. მსოფლიო დაზოგვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები საქართველოში 2012 წლიდან, საბანკო სექტორის მონაწილეობით იმართება და როგორც წესი, კვირეულის სახე აქვს. დაზოგვის დღის ქართული სიმბოლო ჭიანჭველა „[გროვია](#)“ გახლავთ.

2020 წლის დაზოგვის კამპანიის ფარგლებში საქართველოში 1-ლი ნოემბრიდან დაიწყება და ნოემბრის ბოლომდე გასტანს. მისი მიზანი დაზოგვის მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და დანაზოგების წახალისებაა.

დაზოგვის კამპანიის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკი, გერმანული შემნახველი ბანკების ფონდთან და საქართველოში ლიცენზირებული 7 კომერციულ ბანკის - სს „საქართველოს ბანკი“, სს „თიბისი ბანკი“ - სს „ბაზისბანკი“, სს „კრედიო ბანკი“, სს „ლიბერთი ბანკი“, სს „ფინკა ბანკი საქართველო“, სს „ტერაბანკი“- ჩართულობითა და მხარდაჭერით : **დაზოგვის თემაზე ბლოგპოსტების კონკურსს** აცხადებს. კონკურსის სახელწოდებაა **„ცოტას დაზოგვით შეცვალე ბევრი!“** და ამით ის წლევანდელი მსოფლიო დაზოგვის დღის გლობალურ მესიჯს ეხმიანება . კონკურსის ფარგლებში შერჩეული ბლოგპოსტები ფინანსური განათლების პორტალზე - www.finedu.gov.ge და მის შესაბამის ფეისბუქ გვერდზე <https://www.facebook.com/finedu.gov.ge> გამოქვეყნდება და დაზოგვის მნიშვნელობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს.

კონკურსის ტიპი

ღია კონკურსი. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს - ფიზიკურ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ საკონკურსო პირობებს და წარმოადგენს ნამუშევარს დადგენილ ვადებში, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლებისა.

განცხადების გამოქვეყნების თარიღი: **30 ოქტომბერი, 2020**

კონკურსის პირობები

კონკურსში მონაწილემ ბლოგპოსტის მომზადება-წარმოდგენისას უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პირობები:

1. ბლოგპოსტი უნდა ეხებოდეს დაზოგვასა და/ან დანაზოგების მნიშვნელობას;
2. ბლოგპოსტი შექმნილი უნდა იყოს კონკურსანტის მიერ სპეციალურად ამ კონკურსის ფარგლებში;
3. ბლოგპოსტის ტექსტი უნდა შეიცავდეს მინიმუმ 300 და არაუმეტეს 800 სიტყვას;
4. ბლოგპოსტი უნდა იყოს გასაგები ენით გადმოცემული;
5. ბლოგპოსტი და/ან მასში გამოთქმული ცალკეული მოსაზრებები არ უნდა იყოს ტენდენციური და/ან კომერციული და/ან დისკრიმინაციული და/ან შეურაცხმყოფელი ან/და არ არღვევდეს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, არ ეწინააღმდეგებოდეს საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს;
6. თუ ბლოგპოსტში გამოყენებულია ისეთი ინფორმაცია, რომელიც მისი ავტორის პირად მოსაზრებას არ წარმოადგენს, უნდა მიეთითოს ამ ინფორმაციის წყარო, ამასთან, ბლოგპოსტის ავტორმა უნდა დაიცვას ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

ბლოგპოსტების წარმოდგენის ფორმა და ვადა:

1. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ბლოგპოსტი უნდა იყოს Microsoft Word-ის ფაილის სახით;
2. კონკურსანტმა თავისი ბლოგპოსტი უნდა გამოაგზავნოს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: info@finedu.gov.ge და დაელოდოს მიღების დასტურს. კონკურსანტმა წერილის სათაურად უნდა მიუთითოს „ბლოგპოსტების კონკურსისთვის“, ხოლო წერილის შინაარსში - თავისი სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და საცხოვრებელი მისამართი (იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტს სურს თავისი ბლოგპოსტის ფსევდონიმით გამოქვეყნება, წერილში ასევე უნდა მიუთითოს ფსევდონიმი);
3. კონკურსანტმა თავისი ბლოგპოსტი უნდა გამოაგზავნოს არაუგვიანეს **2020 წლის 15 ნოემბრისა**.

ბლოგპოსტების მიღების, განხილვისა და გამარჯვებული მონაწილეების გამოვლენის ვადები და პირობები:

1. ბლოგპოსტების განხილვასა და შეფასებას მოახდენს 9-კაციანი ჟიური, რომელშიც შევლენ საქართველოს ეროვნული ბანკის, სს „საქართველოს ბანკის“, სს „თიბისი ბანკის“, სს „ბაზისბანკის“, სს „კრედიო ბანკის“, სს „ლიბერთი ბანკის“, სს „ფინკა ბანკი საქართველოს“, სს „ტერაბანკისა“ და გერმანული შემნახველი ბანკების ფონდის თითო წარმომადგენელი;

2. I ეტაპზე ჟიური გადაარჩევს არაუმეტეს 20 ბლოგპოსტს.

3. I ეტაპის ფარგლებში გადარჩეული ბლოგპოსტები გამოქვეყნდება ფინანსური განათლების პორტალზე: www.finedu.gov.ge და ფეისბუქ გვერდზე: www.facebook.com/finedu.gov.ge, **2020 წლის 23 ნოემბერს**. ბლოგპოსტების გამოქვეყნება მოხდება ფინანსური განათლების პორტალზე მასალების გამოქვეყნებისთვის დადგენილი ზოგადი წესების შესაბამისად. აღნიშნული წესების ნახვა შესაძლებელია ბმულზე - <https://finedu.gov.ge/ge/finedu-s-blogebis-shesakheb-1>. ფინედუ იტოვებს უფლებას, ბლოგპოსტი გააფორმოს ვიზუალური ელემენტებით საკუთარი შეხედულებისამებრ.

4. II ეტაპზე, I ეტაპის ფარგლებში გამოქვეყნებული ბლოგპოსტებიდან, **2020 წლის 30 ნოემბერს** გამოვლინდება 7 გამარჯვებული ქვემოთ აღნიშნული მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

5. ექვს გამარჯვებულს გამოავლენს ჟიური, შერჩევა მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ✓ ტექსტის სიმარტივე;
- ✓ საუკეთესო პრაქტიკული რჩევები;
- ✓ თხრობის ორიგინალური სტილი;
- ✓ საუკეთესო მოტივაცია დასაზოგად.

ჟიური ზემოაღნიშნული თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ბლოგპოსტს შეაფასებს 10-ბალიანი სისტემით. საბოლოოდ ქულები შეიკრიბება და გამოვლინდება მაქსიმალური ქულების მქონე პირველი ექვსეული.

6. ერთი გამარჯვებული - „მკითხველთა რჩეული“, გამოვლინდება www.facebook.com/finedu.gov.ge-ზე გამოქვეყნებულ ბლოგპოსტზე დაფიქსირებული რეაქციების რაოდენობის მიხედვით. კერძოდ, გამარჯვებულად ჩაითვლება ყველაზე მეტი რეაქციის (ნებისმიერი ტიპის რეაქცია, რომელიც ფეისბუქის პოსტზე არის შესაძლებელი) მქონე ბლოგპოსტის ავტორი. რეაქციების რაოდენობა დაითვლება **2020 წლის 27 ნოემბრის 13:00 საათის მდგომარეობით**.

7. შვიდივე გამარჯვებული საჩუქრად მიიღებს 500 ლარის ოდენობით 1-წლიან ზრდადი ტიპის დეპოზიტს კონკურსის ჟიურიში მონაწილე ერთ-ერთ კომერციულ ბანკში (კანონმდებლობით და შესაბამის ბანკში მოქმედი პოლიტიკა/პროცედურების შესაბამისად). თითოეული კომერციული ბანკი დეპოზიტს გაუხსნის ერთ-ერთ გამარჯვებულს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ამასთან, დეპოზიტის მომსახურების პირობებს, ასევე, დეპოზიტიდან თანხის გატანის პირობებს კომერციული ბანკი განსაზღვრავს დამოუკიდებლად შიდა პოლიტიკა/პროცედურების შესაბამისად

საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.№2 ცხელი ხაზი: (995 32) 2406 406 ელ. ფოსტა: info@finedu.gov.ge. ვებგვერდი: <https://www.finedu.gov.ge/> ფეისბუქ გვერდი: <https://www.facebook.com/finedu.gov.ge/>

სასარგებლო ბმულები:

- ფინანსური განათლების პორტალი: www.finedu.gov.ge
- მსოფლიო დაზოგვის დღის ფარგლებში შექმნილი ვებგვერდი გროვია: www.grovia.com.ge